საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ტურიზმის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის
ოქმი № 25-05/10

06 ოქტომბერი 2021 წელი

სხდომა დაიწყო 13:00 საათზე და დასრულდა 14:30 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

ტურიზმის ფაკულტეტის საბჭოს წევრები:
პროფესორი როსტომ ბერიძე - **სხდომის თავმჯდომარე:**
ასისტენტ-პროფესორი ცირა ცეცხლაძე - **სხდომის მდივანი:**
პროფესორი ანზორ დევაძე;

ასოცირებული პროფესორები: პაატა ჩაგანავა, ვახტანგ მიქაშავიძე, მერაბ დიასამიძე, ირაკლი კორძაია.

ასისტენტ-პროფესორები: ნარგიზ ფალავანდიშვილი, მამუკა გოგელია, თამარ ბერიძე, ნინო დევაძე, ნათია ბერიძე, თეონა ზოიძე.

სხდომას არ ესწრებოდა:

ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ბახტაძე

სტუდენტები: ლუტიძე ანა, ნაჭყებია მარიამ, ქარცივაძე ჯემალ

დღის წესრიგი:

1. პროფესორ როსტომ ბერიძისათვის ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ;
2. ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის შესახებ;
3. ასოცირებულ პროფესორ ირაკლი კორძაიასათვის ტურიზმის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ;
4. ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის არჩევნების გამოცხადების შესახებ.

ფაკულტეტის საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი.

1. *მოისმინეს:* პროფესორ როსტომ ბერიძისათვის ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ;

(მომხს. ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი როსტომ ბერიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ წარუდგინა სამსახურებრივი ბარათი ბსუ-ს რექტორს, 2011 წლიდან მაქსიმალურად იყენებდა ინტელექტუალურ და ფიზიკურ რესურსებს იმისთვის, რომ პირნათლად შეესრულებია მასზე დაკისრებული მოვალეობები და ტურიზმის ფაკულტეტის გუნდთან (აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან) ერთად შეექმნა კონკურენტუნარიანი ფაკულტეტი. პროფესორმა როსტომ ბერიძემ აღნიშნა, რომ აპირებს საქმიანობის გაგრძელებას როგორც პროფესორი და ტურიზმის დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

აზრი გამოთქვეს:

ვახტანგ მიქაშავიძე - ეს ის სიტუაციაა, როდესაც ნამდვილად არ გვაქვს სურვილი, რომ მხარი დავუჭიროთ აღნიშნულ გადაწყვეტილებას, თუმცა ბატონი როსტომის გადაწყვეტილება ყოველთვის გასათვალისწინებელია და აქედან გამომდინარე მეც მხარს დავუჭერ მას. ბატონმა როსტომმა ძალიან ბევრი შრომა და ენერგია ჩადო ფაკულტეტის ჩამოყალიბებაში, მის განვითარებაში და შექმნა ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე, კონკურენტუნარიანი ფაკულტეტი. მადლობას ვუხდი მას გაწეული საქმიანობისთვის და დიდ წარმატებებს ვუსურვებ!

ანზორ დევაძე - ყოველი ჩვენგანისთვის ცნობილია ბატონი როსტომის ღვაწლი და მოღვაწეობა როგორც ტურიზმის ფაკულტეტზე, ისე საუნივერსიტეტო მასშტაბით, ამიტომ ამის ახსნაზე დროს აღარ დაგაკარგვინებთ. მას კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას გაწეული საქმიანობისთვის. ვუსურვებ ჯანმრთელობას და წარმატებებს!

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 13, წინააღმდეგი - 0) ერთხმად *დაადგინეს*:

პროფესორ როსტომ ბერიძეს, რომელიც ტურიზმის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე არჩეული იქნა 2019 წლის 10 ივლისს 4 წლის ვადით, შეუწყდეს უფლებამოსილება ვადაზე ადრე - 2021 წლის 7 ოქტომბრიდან.

2. *მოისმინეს:* ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის შესახებ.

(მომხს. ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი როსტომ ბერიძე)

მომხსენებელმა, ტურიზმის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა როსტომ ბერიძემ აღნიშნა, რომ ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის არჩევნების ჩატარებამდე ფაკულტეტის საბჭომ ღია კენჭისყრით მიღებული გადაწყვეტილებით უნდა დანიშნოს დეკანის მოვალეობის შემსრულებელი. ფაკულტეტის საბჭოს თითოეული წევრი უფლებამოსილი ხართ დაასახელოთ მოვალეობის შემსრულებლის კანდიდატურა.

აზრი გამოთქვეს:

<u>ანზორ დევაძე</u> - მნიშვნელოვანია შეირჩეს ისეთი პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საქმიანობის გამოცდილება, არის პროფესიონალი და ღირსეულად შეძლებს ფაკულტეტის ადმინისტრაციული საქმიანობის გაძღოლას. აქედან გამომდინარე, მაქვს პატივი დავასახელო ჩვენი კოლეგა, ასოცირებული პროფესორი ირაკლი კორძაია, რომელიც ფაკულტეტის დაარსებიდან დღემდე ღირსეულად ემსახურება ჩვენს ფაკულტეტს.

საბჭოს წევრებმა: პროფესორმა როსტომ ბერიძემ, ასოც. პროფ. მერაბ დიასამიძემ, ასოც. პროფ. ვახტანგ მიქაშავიძემ – დადებითად შეაფასეს წამოყენებული კანდიდატურა და აღნიშნეს, რომ ირაკლი კორძაია არის კომუნიკაბელური, პუნქტუალური, სარგებლობს კარგი რეპუტაციით როგორც ფაკულტეტზე, ისე უნივერსიტეტის პერსონალთან და სტუდენტებთან და დარწმუნებულები არიან, რომ პირნათლად და მაღალი აკადემიურობით შეასრულებს მასზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს.

*ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (*მომხრე - 13, წინააღმდეგი - 0) ერთხმად *დაადგინეს*:

ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნოს ტურიზმის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ირაკლი კორძაია და შეუდგეს უფლებამოსილების განხორციელებას 2021 წლის 7 ოქტომბრიდან.

3. *მოისმინეს:* ასოცირებული პროფესორ ირაკლი კორძაიასათვის ტურიზმის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ.

(მომხს. ტურიზმის ფაკულტეტის ასოც. პროფესორი ირაკლი კორძაია)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ტურიზმის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე არჩეულია 2019 წლის 18 სექტემბრიდან, ასევე 2 წლის განმავლობაში ასრულებდა ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობას. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ სამსახურებრივი ბარათი წარუდგინა ბსუ-ს რექტორს, ამასთან, დღევანდელ სხდომაზე მხარი დაუჭირა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლად მის დანიშვნას. აღნიშნულიდან გამომდინარე ითხოვს 2021 წლის 7 ოქტომბრიდან შეუწყდეს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის უფლებამოსილება.

აზრი გამოთქვეს ფაკულტეტის საბჭოს წევრებმა: რ. ბერიძე, ა. დევაძე, მ. დიასამიძემ, რომლებმაც მხარი დაუჭირეს მომხსენებლის თხოვნას.

*ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (*მომხრე - 13, წინააღმდეგი - 0) ერთხმად *დაადგინეს*:

ტურიზმის ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორ ირაკლი კორძაიას 2021 წლის 7 ოქტომბრიდან შეუწყდეს ტურიზმის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის უფლებამოსილება.

4. *მოისმინეს:* ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის არჩევნების დანიშვნა
(მომხს. ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი როსტომ ბერიძე)

მომხსენებელმა როსტომ ბერიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის დებულებით გათვალისწინებული დეკანის არჩევნების გამოცხადებისათვის განსაზღვრული მოთხოვნები და შესთავაზა არჩევნების სავარაუდო თარიღები.

აზრი გამოთქვეს: ფაკულტეტის საბჭოს წევრებმა: რ. ბერიძემ, ა. დევაძემ, ვ. მიქაშავიძემ, პ. ჩაგანავამ, მ. დიასამიძემ და შეიმუშავეს ერთობლივი პროექტი დეკანის არჩევნების გამოცხადების შესახებ.

*ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (*მომხრე - 13, წინააღმდეგი - 0) **ერთხმად დაადგინეს:**

1. გამოცხადდეს ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის არჩევნები და დამტკიცდეს არჩევნების გამოცხადების შესახებ განცხადების ტექსტი წინამდებარე ოქმის დანართის სახით (**დანართი 1**).
2. წინამდებარე ოქმის **დანართი 1** განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ფაკულტეტის და კონკურსების ველებში), ასევე ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის და საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) საინფორმაციო დაფებზე.
3. წინამდებარე საოქმო გადაწყვეტილებების შესახებ სამსახურებრივი ბარათი გაეგზავნოს ბსუ-ს რექტორს.

სხდომის თავჯდომარე, პროფესორი როსტომ ბერიძე

სხდომის მდივანი, ასისტ. პროფესორი ც. ცეცხლაძე